ინფორმაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება კვალიფიციური სუბიექტებისთვის:

კვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო საკუთარ ეთერში ყოველ საათში 5 წუთი უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსებს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინასაარჩევნო რეკლამას, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს).

ვინაიდან 2020 წლის პარლამენტის არჩევნებისათვის რეგისტრირებულია 19 კვალიფიციური სუბექტი, თითოეული კვალიფიციური სუბიექტისათვის შესაძლებელია გამოიყოს საათში 15,78 წამი. უფრო მეტი ქრონომეტრაჟის რეკლამ(ებ)ის წარმოდგენის შემთხვევაში მაუწყებელი განათავსებს არსებული რესურსის (თავისუფალი დროის) გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლისათვის მომართვიანობა გაიზრდება და იარსებებს რისკი, რომ მაუწყებელმა თანაბრად ვერ გაანაწილოს უფასო საეთერო დრო კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს შორის, მაუწყებელი შეგატყობინებთ აღნიშნულის თაობაზე და მოგეცემათ 1 დღის ვადა ქრონომეტრაჟის შესამცირებლად (ერთი რეკლამის წარმოდგენის შეთხვევაში) ან განსათავსებელი რეკლამის ასარჩევად (რამოდენიმე რეკლამის წარმოდგენის შემთხვევაში) ან სხვა რეკლამის წარმოსადგენად. თუ 1 დღის ვადაში არ განახორციელებთ შესაბამის მოქმედებას, მაუწყებელი (ყოველ 3 საათში) ეთერში არ განათავსებს 47,36 წამზე მეტი ქრონომეტრაჟის რეკლამას. **კვალიფიციურ სუბიექტებს ეძლევათ რეკომენდაცია არ წარმოადგინონ 47,36 წამზე მეტი ქრონომეტრაჟის წინასაარჩევნო რეკლამა ან რეკლამები, რომელთა ქრონომეტრაჟის ჯამი აჭარბებს 47,36 წამს.**

არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის.

2) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის:

* საარჩევნო კამპანიის დროს არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან მაუწყებელი თავის ეთერში, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა, სხვა პარტიის/ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსების მიზნით ყოველ საათში 2,5 წუთს გამოყოფს და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსებს თითოეული ასეთი პარტიის/ბლოკის მიერ მისთვის წარდგენილ წინასაარჩევნო რეკლამას, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი პარტიისათვის/ბლოკისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 45 წამს არ უნდა აღემატებოდეს (პარტიას/ბლოკს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). არ

შეიძლება პარტიის/ბლოკის მიერ გამოყენებული დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვალიფიციური სუბიექტების გარდა, სხვა პარტიას/ბლოკს **ეძლევა რეკომენდაცია არ წარმოადგინოს 9 წამზე მეტი ქრონომეტრაჟის წინასაარჩევნო რეკლამა ან რეკლამები, რომელთა ქრონომეტრაჟის ჯამი აჭარბებს 9 წამს.**

3) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

* წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფის შესახებ ინფორმაცია ყოველკვირეულად განთავსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებგვერდზე www.adjaratv.ge

4) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

* საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს დირექტორის სახელზე განცხადება (უფლებამოსილი პირის ხელმოწერით), საარჩევნო სუბიექტის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. #41 ან ელ.ფოსტაზე: zurabjijavadzetv@gmail.com

განცხადება უნდა შეიცავდეს საკონტაქტო პირის მონაცემებს (მათ შორის, ტელეფონის ნომერს)

ელ.ფოსტაზე გამოგზავნილი განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი "ელექტორნული დოკუმენტისა და ელექტორნული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

* სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის (განაცხადის) რიგითობის მიხედვით.

* წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამოდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე zurabjijavadzetv@gmail.com უნდა გამოაგზავნოს წერილი და მედიაგეგმა დირექტორის სახელზე. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. ჩანაცვლების ან განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა აცნობოს ორი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე zurabjijavadzetv@gmail.com;

*დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. საარჩევნო სუბიექტის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შემწყობი რეკლამის ელემენტებს, მათ შორის, მის წარმომადგენელს, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას.

* „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე. წინასაარჩევნო რეკლამის

შინაარსზე პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელი ჩათვლის, რომ წარმოდგენილი წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსი შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, მაუწყებელი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით მიმართავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და კომისიის მითითებამდე/გადაწყვეტილებამდე არ განათავსებს ეთერში აღნიშნულ წინასაარჩენო რეკლამას.

5) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

*საქართველოს ორგანული კანონის ``საქართველოს საარჩევნო კოდექსის`` თანახმად, რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა ``ფასიანი პოლიტიკური რეკლამა`` ან ``უფასო პოლიტიკური რეკლამა`` - შრიფტის ზომით მინიმუმ 24 PX

*რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა.

*პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 5%-ს. ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 25%-ს. ამ პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელი არ განათავსებს შესაბამის პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამას.

* სარეკლამო რგოლი უნდა იყოს TARGA ან HDTV 1080i 25 ფორმატში 1920X1080 რეზოლუციით CD ან DVD დისკზე,

* ხმა-სტერეო, 48 ჰერცი, 16 ბიტი, max 6 დეციბალი- min 18 დეციბალი

საკონტაქტო პირები :

ნინო უტიაშვილი - იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, ტელ: 577 05 54 30

ზურაბ ჯიჯავაძე - სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების კოორდინატორი, ტელ: 591 98 05 77.